

შპს ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31
დეკემბერს
(ლარში)

შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო
კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.
2. დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი.
3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ.
4. კომპანიის განვითარების გეგმები.
5. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.
6. კომპანიის რისკების მიმოხილვა და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

შპს ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31
დეკემბერს
(ლარში)

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მართველობის
ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის
31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.**

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“-ს (შემდგომში „კომპანია“) მმართველობით ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 10 დეკემბერს.

დირექტორი:

რუსუდან ლაგვილავა

შპს ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31
დეკემბერს
(ლარში)

დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი

ბატონებო,

გაცნობებთ, რომ ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და მივიჩნიეთ რომ: კომპანიამ მოამზადა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიძინებია რაიმე არსებითი შეუსაბამოები რაც მიგვანიშნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით. ზემოთ აღნიშნული 1-ლი და მე-2 პუნქტის წაკითხვა უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ აზრებთან, რომელიც მიჯნავს ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობებს, ერთად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს. ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინოფორმაციას:

კომპანიის განვითარების გეგმებს;
კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;
ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;
კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;
ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონთან შესაბამისობის სხვა საკითხებს (იმ შემთხვევაში თუ რელევანტურია კომპანიისთვის).

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ შევაფასეთ და გამოვხატეთ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ საწარმოს მიერ მოწოდებული ანგარიშგება შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებთან.

2019 წლის 06 დეკემბერს გამოვუშვით დასკვნა კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

კახა ჭკუასელი

გარიგების პარტნიორი

შპს „აი.ჯი.ევ“

მმართველობითი ანგარიშგება

შპს „ისრაელ-საქართველო სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“

1. კომპანიის დაარსების ისტორია

შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“ წარმოადგენს ისრაელისა და საქართველოს ერთობლივ პროექტს. კლინიკა 2014 წლის დეკემბრიდან წარმატებულად ფუნქციონირებს ქართულ სამედიცინო მომსახურების ბაზარზე, აღჭურვილია უახლესი, მაღალტექნოლოგიური, ევროპული სტანდარტების შესაბამისი აპარტურით და დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პერსონალით.

ჰელსიკორის ბაზაზე წარმოებს როგორც რუტინული კარდიოვასკულარული, ისე ურთულესი ჰიბრიდული (ქირურგიული-ინტერვენციული) დახურული და ღია ტიპის ოპერაციები. გულ-სისხლძარღვოვანი პათოლოგიების მქონე პაციენტებს ჰელსიკორში შესაძლებლობა აქვთ მიიღონ სრულყოფილი და მაღალკვალიფიციური სერვისი, სრულფასოვანი ამბულატორიული გამოკვლევებიდან ურთულესი ქირურგიული ოპერაციების ჩათვლით.

ჰელსიკორს საკმაოდ მყარი პოზიციები უკავია გულ-სისხლძარღვოვანი დაავადებების მკურნალობის საქმეში, ამ მიმართულებით არის არაერთი სამედიცინო ნოვაციის ავტორი, დანერგილი აქვს ინტერვენციული და ქირურგიული ჩარევების უნიკალური მეთოდები.

სამედიცინო საქმიანობის დაწყებიდან ჰელსიკორში სტაციონარული მომსახურება გავუწიეთ 11709 პაციენტს, მათ შორის განხორციელდა კარდიოლოგიური ინტერვენციული 2954 მანიპულაცია (კორონარული არტერიების ანგიოგრაფია, ანგიოპლასტიკა), 1148 კარდიოქირურგიული ოპერაცია (კორონარული შუნტირება, ოპერაციები აორტაზე, სარქველების პლასტიკა/პროთეზირება/გამოცვლა, სხვა შეძენილი მანკები), 950 სისხლძარღვთა ქირურგიული ოპერაცია (სისხლძარღვების ღია და დახურული/ენდოვასკულარული, სტენტგრაფტი), 196 არითმოლოგიური პროცედურა (გულის რითმის ხელოვნური წამყვანების იმპლანტაცია, რადიოსიხშირული და კრიო აბლაციები). ამავე პერიოდში ლეტალური გამოსავალის ფარდობითმა მაჩვენებელმა 1,2% შეადგინა, რაც გულ-სისხლძარღვთა დაავადების მკურნალობის სფეროში მოქმედი ევროპული კლინიკების საშუალო სტატისტიკურ მაჩვენებელზე დაბალია.

პირველად საქართველოში სწორედ ჰელსიკორში ჩატარდა აორტალური სარქველის სტენოზის აღდგენითი ოპერაცია Transcatheter Aortic Valve Implantation (TAVI), რაც გულისხმობს აორტალური

შპს ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31
დეკემბერს
(ლარში)

სარქვლის პროთეზირებას ენდოვასკულარული მეთოდით, უსისხლოდ და ანესთეზიის გარეშე. სტაციონარში დაყოვნება არ აღემატება 2-3 დღეს. იმის გამო, რომ აღნიშნული პროცედურა ნოვაცია იყო საქართველოსთვის, მისი ჩატარება დამოუკიდებლად, უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობის გარეშე არ იყო რეკომენდირებული. 2019 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ჩატარებულია 12 TAVI-ს პროცედურა, რაც საშუალებას იძლევა მომავალში აღნიშნული პროცედურები ჩატარდეს კლინიკის რესურსებით. ხსენებული პროცედურა არის უკანასკნელი მიღწევა ინტერვენციულ კარდიოლოგიაში და ის ფაქტი, რომ მისი ჩატარება ჰელსიკორს დამოუკიდებლად შეუძლია, მიუთითებს იმაზე, რომ კლინიკის ინტერვენციონისტებს გააჩნიათ უმაღლესი ხარისხი.

ფართო მასშტაბის ურთულეს მანიპულაციებს შორის კლინიკაში სრულდება ისეთი უნიკალური ოპერაციები როგორიცაა:

- აორტო-კორონარული შუნტირება, როგორც მინითორაკოტომიული, ასევე მინი სტერნოტომიული მიდგომით;
- აორტალური სარქვლის პროთეზირება მინითორაკოტომიული მიდგომით.
- მიტრალური სარქვლის გამოცვლა/პლასტიკა ლატერალური მინითორაკოტომიული მიდგომით.
- აორტის სარქვლის პლასტიკა.

ჰელსიკორში ხორციელდება ანგიოქირურგიული ენდოვასკულარული ოპერაციები, მათ შორის ოპერაცია გამსკდარ ანევრიზმაზე დახურული წესით.

2017 წლიდან კლინიკაში ტარდება აბლაციის პროცედურები EnSite Precision აპარატურით, ყოველგვარი რენტგენოლოგიური დასხივების გარეშე. პროცედურები ტარდება გულის ელექტროფიზიოლოგიაში და აბლაციაში მიღებული ევროპული აკრედიტაციით.

კლინიკაში 2017 წლიდან ფუნქციონირებს ენდოკრინოლოგიური დეპარტამენტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ევროპის ენდოკრინულ ქირურგთა ასოციაციის თავჯდომარე, გერმანიის ქ. ესენის საუნივერსიტეტო კლინიკის პროფესორი, ენდოკრინული ქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელი პროფესორი ჰენინგ დრალე. ოპერაციები ტარდება მის მიერ შემუშავებული მეთოდით, მუდმივი ნეირომონიტორინგით, ხშირ შემთხვევაში თავად პროფესორის მიერ.

შპს ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31
დეკემბერს
(ლარში)

კომპანიის დამფუძნებლები არიან როგორც რეზიდენტი ასევე არარეზიდენტი ფიზიკური პირები.

ნოდარ ემუხვარი (პ/ნ 01024086119) – 13,2%;

რუსუდან ნაფეტვარიძე (პ/ნ 01017009772)-4,4%;

რონ კარმელი (პ/ნ 50500594, აშშ.)-27%.

თამარ ემუხვარი (პ/ნ 01024009018) – 39,2%;

ნინო ემუხვარი (პ/ნ 01024025076) – 11%;

ლევან ქარაზანიშვილი (პ/ნ 01005006788, იტალია, საქართველო)-5,2%

კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ძირითადი შემსყიდველები არიან:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“, რომელიც ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებს;
2. კერძო სადაზღვევო კომპანიები;
3. საქართველოს პრაქტიკულად ყველა რეგიონის ადგილობრივი მუნიციპალიტეტი;
4. სხვადასხვა სამთავრობო უწყებები;
5. უცხოური და ადგილობრივი კომპანიები;
6. ფიზიკური პირები.

შპს ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31
დეკემბერს
(ლარში)

2. საქმიანობის განვითარების გეგმები

შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“ განთავსებულია ქ. თბილისში, თევდორემღვდლის #13-ში არსებულ იმენობის პირველ, მე-8, მე-9, მე-10 დამე-11 სართულებზე (მათ შორის მე-8 სართულს ფლობს სარგებლობის უფლებით). საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

სისხლმარღვოვანი პათოლოგიებით დაავადებული პაციენტების მოვლა-მკურნალობა.

სტაციონარი გაშლილია 80 საწოლზე, მოწყობილია 2 საოპერაციო ოთახი (მათ შორის ერთი ჰიბრიდული ტიპის), 2 კათეტერიზაციის ლაბორატორია, 3 სარეანიმაციო დარბაზი, კლინიკაში ფუნქციონირებს გეგმიური ამბულატორია. 2018 წლის ანგარიშის თვეში ჰელსიკორის მიერ შეძენილ იქნა შპს „გიაჭუასელის კლინიკის“ 100% წილი, რომელიც განთავსებულია იმენობის პირველ სართულსა და სარდაფში. მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საერთო ფართობით 1700 კვ. მეტრია. მოცემულ ეტაპზე, ხსენებულ ფართში წარმოებს სარემონტო სამუშაოები, რომელთა დასრულება დაფართის ექსპლუატაციაში გაშვება იგეგმება 2020 წლის დასაწყისისათვის. გათვალისწინებულია 4 ახალ საოპერაციო ოთახის მოწყობა, ზოგადი (მ.შ. დიდი წილი ინვესტიციური) რეანიმაციული დარბაზის გაშლა 11 საწოლზე, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (EMERGENCY) სამსახურის ფუნქციონირება - დაკვირვების დარბაზში 8 საწოლზე, ტრიაჟი - 1 საწოლზე, ასევე მცირე საოპერაციო/სამანიპულაციო ოთახი, პოსტოპერაციული რეანიმაციული დარბაზის განთავსება 5 საწოლზე, თერაპიული პროფილის ან/და პოსტქირურგიული პაციენტების კონსერვატიული მკურნალობისათვის (მშ. VIP პალატები) - დაახლოებით 11 საწოლზე. რაც შეეხება ახალ სამედიცინო სერვისებს - იგეგმება გადაუდებელი და გეგმიური ზოგადი ქირურგია, ორთოპედია-ტრავმატოლოგია (გეგმიური და გადაუდებელი), ნეიროქირურგია, გათვალისწინებულია მაღალტექნოლოგიური მოწყობილობების (კომპიუტერული ტომოგრაფი, რენტგენი და ა.შ.) შეძენა, რაც როგორც სტაციონარული, ისე გეგმიური ამბულატორიული სერვისების დატვირთვის ზრდას შეუწყობს ხელს. შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორის“ პერსპექტიული განვითარების გეგმის ბაზისა და დებულია არსებული და დასამატებელი სამედიცინო სერვისების, საწოლ-ფონდის, საოპერაციო და საპროცედურო ოთახების, ექიმების ოთახების, სამედიცინო პერსონალის და ა.შ. მაქსიმალური (100%-ით) დატვირთვის შესაძლებლობა დამიღებული მაჩვენებლებიდან, კლინიკის წარსულის საქმიანობის სტატისტიკური მონაცემების და ქვეყნის სამედიცინო ბაზარზე არსებულ ლიდერ გომარეობის გაანალიზების საფუძველზე განგარიშებულია კლინიკის დატვირთვის ყველაზე უმაღლესი სიმძლავრის პროგნოზი - რომელიც დაგეგმარების პირველ წელს მაქსიმალური შესაძლებლობის საშუალოდ 43%-ს შეადგენს და ეტაპობრივი გააქტიურების საფუძველზე პროგნოზის მეხუთე წელს საშუალოდ 59%-მდე იზრდება. დატვირთვის მაქსიმალური ინჟინერი ქირურგიული პროფილის სერვისებისათვის 65%-ია.

3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობა

მაკროეკონომიკური პირობები

კომპანიის საქმიანობის შედეგებზე ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკური ფაქტორები.

ვალუტის მერყეობა

კომპანიაზე მოქმედებს ვალუტის მერყეობა ბიზნეს-გარემოსა და საქმიანობის დარგის სპეციფიკის გამო, რადგანაც სასაქონლო-მატერიალური მარაგების აგრეთვე სამედიცინო აპარატურის შესყიდვა მომწოდებლებს უწევთ დოლარში ან ევროში შესაბამისად როდესაც ხდება ლარის გაუფასურება დოლარისა და ევროს მიმართ იმატებს ფასები, კლინიკა კი მომსახურებას უწევს პაციენტებს დადგენილი ფასებით

ამასთან, კომპანიას ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მიმართ აქვს საკრედიტო ვალდებულებები, რომლებიც თითქმის სრულად მიზნულია უცხოურ ვალუტებზე. ლარის გაუფასურება ამ ვალუტების მიმართ ზრდის კომპანიის საპროცენტო ხარჯებს და სხვა დანახარჯებს.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა, მას თავისი სავაჭრო კანონმდებლობა თანდათან შესაბამისობაში მოჰყავს ევროკავშირის ნორმებთან და პრაქტიკასთან. ბოლოდროინდელ ნორმატიულ ცვლილებებს შორისაა 2013 წლის ცვლილებები შრომის კოდექსში, რითაც საქართველოს შრომითი რეგულაციები მიუახლოვდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით და DCFTA-ით აღებულ ვალდებულებებს. ამ ცვლილებების მიხედვით, დამსაქმებლებს ევალებათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება, სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაციის გაზრდა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე). აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად აგრეთვე გამკაცრდა შრომის უსაფრთხოების რეგულაციები და 2019 წლის 1 სექტემბრიდან ყველა საწარმოს მიუხედავად საქმიანობის სფეროსი ევალება უსაფრთხოების თანამშრომლის ყოლა, რაც დამატებით ხარჯებსა და სირთულეებს იწვევს ბიზნესისთვის.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საგადასახადო კოდექსში მოგების გადასახადთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც საწარმოს არ დაევალება მოგების გადასახადის გადახდა, სანამ იგი არ გაანაწილებს მოგებას მფლობელებზე ან გასწევს ასეთ დანახარჯებს ან განახორციელებს ისეთ მიწოდებას ან გადახდას, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. აღნიშნული სიახლე უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენს საქმიანობაზე რადგან როდესაც პაციენტი ვერ იხდის სამედიცინო მომსახურების თანაგადახდას ეს შეიზღუება განხილულ იქნეს როგორც უსასყიდლო მიწოდება და მოგების გადასახადით დაიბეგროს

4. განცხადება ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ

უსაფრთხოების მხარდაჭერა

ჩვენი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, იმ ადამიანების უსაფრთხოება, რომლებიც ჩვენთან არიან დასაქმებულები ან რომლებთანაც ვთანამშრომლობთ.

ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ პოპულარიზაცია გავუწიოთ ჯანსაღი ცხოვრების წესს.

5. საკადრო საკითხები

ჩვენი წარმატების მთავარი ფაქტორი არის ერთიანი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელსაც შეუძლია კომპანიის მიზნების მიღწევა. ჩვენი სერიოზულად ვეკიდებით საუკეთესო პროფესიონალების მოძიებას და მოზიდვას, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას, მათ პროფესიულ განვითარებაში ინვესტიციის ჩადებას და მათი ერთგულების წახალისებას. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება და მართვის სისტემა, რომელსაც ის განახორციელებს, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ჩვენი ყველაზე ძვირფასი რესურსის - ჩვენი თანამშრომლების მართვაში. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება შეიმუშავებს ადამიანური რესურსების პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებითაც განისაზღვრება ძირითადი პრინციპები, მიმართულებები, მიდგომები დამეთოდები, რომლებსაც გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ყველა საქმიანობისთვის ადამიანური კაპიტალის მართვის სისტემების შექმნისთვის. ჩვენი ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და პროცედურების მაგალითებია:

- დასაქმების დაგეგმვა და ახალი თანამშრომლების მოზიდვა
- კადრების ადმინისტრირება

- ხელფასები და კომპენსაციები
- ქცევის კოდექსი
- თანამშრომელთა განვითარება და გადამზადება
- ადამიანური უფლებები

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნეს-საქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენ ვზრუნავთ თანამშრომელთა ჩართულობასა და მოტივაციაზე, აგრეთვე მათ მუდმივ პროფესიულ ზრდაზე. ჩვენი ექიმები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა კონფერენციებში სადაც ხდება სამედიცინო სფეროში არსებული სიახლეების გაცნობა და გაზიარება.

სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრევენციულ ზომებს, როგორიცაა თანამშრომლების რეგულარული ტრენინგების და სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამუშაო ადგილების სერტიფიცირება და ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისება.

დირექტორი:

რუსუდან ლაგვილავა



შპს “ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი”

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შპს ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებასა და ანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018
წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

შპს “ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი”

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 19-22

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 23

სრული შემოსავლის ანგარიშგება 24

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 25

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 26

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 27-41

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი”
ს/ნ 205250618 ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს “ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორის” ს/ნ 205250618 (შემდგომში „კომპანია“) (მსს ფასს-ს პირველად გამომყენებელი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის “პირობითი მოსაზრების საფუძველი” ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავადასტურეთ 2018 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების რაოდენობის სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 813 959 ლარის ღირებულებით, შედეგად ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე სახის კორექტირების განხორციელება მარაგების და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ დავაკვირდით კომპანიის ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის პროცედურას. შესაბამისად ვერ დავადასტურეთ 2018 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ძირითადი საშუალებების რაოდენობის სისწორე, რაც ფინანსური მდგომარეობის

შპსისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებასაანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018
წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ანგარიშგებაში ასახული იყო 7 776 752 ლარის ოდენობით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ძირითად საშუალებებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების ცვეთის ხარჯთან და ანგარიშგებების სხვა მუხლებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ დავაკვირდით წლის ბოლოს კომპანიის სალაროებში ჩატარებულ ფულის დათვლის პროცედურას. შესაბამისად ვერ დავადასტურეთ 2018 წლის 31 დეკემბრისათვის არსებული ნაღდი ფულის რაოდენობა სალაროში, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული იყო 130 162 ლარის ოდენობით. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობებსა და ფული და ფულის ეკვივალენტებთან დაკავშირებით, აგრეთვე სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

შპსისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებასა და ანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედრილია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;

- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მსს ფასს-35-ე მუხლის შესაბამისად, როგორც მსს ფასს-ით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ

შპსისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებასა და ანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018
წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ★ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ★ ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ★ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- ★ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი

შპსისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებასაანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018
წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი
მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

06 დეკემბერი 2019

შპს „აი.ჯი.ეფ“

კახა ჭკუასელი

გარიგების პარტნიორი

შპსსისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებასაანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

**კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით**

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	130,162	154,817
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	2,172,538	2,728,128
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	813,959	816,363
სულ მიმდინარე აქტივები		3,116,658	3,699,308
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	7,776,752	6,955,859
არამატერიალური აქტივები		14,351	14,351
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,807,752	6,986,860
სულ აქტივები		10,924,410	10,686,168
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი	8	500,000	350,000
სავაჭრო ვალდებულებები	9	272,075	2,223,637
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		134,572	107,706
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი	10	399,892	382,053
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		377,128	3,078,881
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი	8	8,417,944	7,137,623
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8,417,944	7,137,623
სულ ვალდებულებები		12,189,228	10,216,504
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		1,884,966	1,934,466
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(3,149,784)	(1,464,802)
სულ საკუთარი კაპიტალი		(1,264,818)	469,664
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		10,924,410	10,686,168

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი: ----- რუსუდან ლაგვილავა

ფინანსური დირექტორი: ----- გელა კვარაცხელია

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 16-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპსისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებასაანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

**კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის**

(ლარი)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	11	11,843,983
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(8,873,198)
საერთო მოგება		2,970,786
სხვა შემოსავალი	12	70,366
კომერციული დანახარჯები	13	(229,966)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,368,233)
დადებითი საკუროსო სხვაობა		47,365
ფინანსური შემოსავალი	15	24,485
უარყოფითი საკუროსო სხვაობა		(299,229)
ფინანსური დანახარჯები	16	(624,640)
მოგება დაბეგვრამდე		(1,409,066)
მიმდინარე წლის მოგება		(1,409,066)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი: ----- რუსუდან ლაგვილავა
ფინანსური დირექტორი: ----- გელა კვარაცხელია

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 17-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპსსირაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებასაანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი
	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	12147232
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-4758019
გაცემული შრომის ანაზღაურება	-4672344
გადახდილი გადასახადები	-1282071
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები (საბანკო ხარჯები)	-39634
გადახდილი პროცენტები	-604863
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	790301
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-1706750
კაპიტალის შემცირება და/ან დივიდენდის გაცემა	-275097
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-1981847
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
სესხების აღება	5647168
სესხის დაფარვა	-4469872
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	1177296
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-10405
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	-24655
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	154817
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	130162

კონსო

ლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი: ----- რუსუდან ლაგვილავა

ფინანსური დირექტორი: ----- გელა კვარაცხელია

შპსისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებასაანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018
წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	1,934,466	(1,464,802)	-	469,664
საწესდებო კაპიტალის შემცირება წლის მთლიანი სრული შემოსავალი	(328,931)	(1,409,068)	-	(1,409,068)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	1,605,535	(2,873,870)	-	(1,268,335)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი: ----- რუსუდან ლაგვილავა

ფინანსური დირექტორი: ----- გელა კვარაცხელია

თანდართული შენიშვნები მე-6 დან 17-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2010 წლის 03 მაისს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 205250618, იურიდიული მისამართი - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, თევდორე მღვდლის ქ.13, კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

კომპანიის წილის მფლობელები 2018 წლის 15 მაისამდე იყვნენ:

ნოდარ ემუხვარი (პ/ნ 01024017655) – 13,2%;

რუსუდან ნაფეტვარიძე (პ/ნ 01017009772) – 4,4%;

რონ კარმელი (პ/ნ 50500594) – 27%.

აშშ.

თამარ ემუხვარი (პ/ნ 01024009018) – 39,2%;

ნინო ემუხვარი (პ/ნ 01024025076) – 11%;

ლევან ქარაზანიშვილი (პ/ნ 01005006788) – 5,2%

იტალია, საქართველო.

2018 წლის 15 მაისიდან კომპანიის წილის მფლობელები არიან:

ნოდარ ემუხვარი (პ/ნ 01024086119) – 13,2%;

რუსუდან ნაფეტვარიძე (პ/ნ 01017009772) – 4,4%;

შპსისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებასაანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018
წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

რონ კარმელი (პ/ნ 50500594)-27%.

აშშ.

თამარ ემუხვარი (პ/ნ 01024009018) – 39,2%;

ნინო ემუხვარი (პ/ნ 01024025076) – 11%;

ლევან ქარაზანიშვილი (პ/ნ 01005006788)-5,2%

იტალია, საქართველო.

კომპანიის დირექტორი:

2016 წლის 26 აგვისტოდან დღემდე -რუსუდან ლაგვილავა (პ/ნ 01005000775);

კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა როგორც ამბულატორიული ასევე
სტაციონარული სამედიცინო მომსახურების გაწევა. ძირითადი პროფილია კარდიოლოგია
და კადიოქირურგია, თუმცა კლინიკა ფართოვდება და ამატებს ახალ განყოფილებებს
ისეთები როგორიცაა ზოგადი ქირურგია, სისხლძარღვთა ქირურგია, ენდოკრინოლოგია,

კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰყავს შვილობილი კომპანია

შპს „გია ჭკუასელის კლინიკა“ ს/კ 401945507, რეგისტრირებული 2010 წლის 24 მარტს.

წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის
ჩათვლით.

ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა, ასევე, სხვა
საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

2. მომზადების საფუძველი

2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, ჯგუფი წარმოადგენს მეორე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, ჯგუფს ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელოა, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

3. გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

ჯგუფის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტოღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადისან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების

თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა - 20 წელი;

მანქანა დნადგარები - 5 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 5 წელი;

ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც

შპსისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებას ანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). ჯგუფში შემავალი კომპანიების დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისის შემთხვევებისა).

2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფში შემავალი კომპანიების ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

შპსისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებას ანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

4. ფულადი სახსრები.

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება:

	2018	2017
ნაღდი ფული ლარებში	18,631	1,039
ლარები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე	20,911	19,056
უცხოური ვალუტა ადგილობრივ ბანკში	90,620	134,721
სულ	130,162	154,817

შპს ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებას ანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

სავაჭრო მოთხოვნები შედგება:

	2018	2017
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2,119,243	2,695,267
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	19,454	11,928
მიმწოდებელზე გადახდილი ავანსები	16,512	8,599
სხვა მიმდინარე აქტივები	17,329	12,332
სულ	2,172,538	2,728,128

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიას სავაჭრო ვალეები არ აქვს. გადაუხდელი მოთხოვნები არის საქართველოს რეზიდენტი იურიდიული და ფიზიკური პირების წინაშე.

6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.

მარაგები წარმოდგენილია:

	2018	2017
საქონელი	18,826	8,344
ნედლეული	794,461	806,802
საწვავ-საცხები მასალები	671	1,217
სულ	813,959	816,363

შპსისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებას აწარმოებს გეგმით, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

7. ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები შედგება:

	დაუმთავრებელი შენობა	შენობები	ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	სამედიცინო აპარატურა	ოფისის აღჭურვილობა და კომპიუტერული ტექნიკა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	სულ
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი		4,612,040	176,701	89,031	4,886	4,225,213	135,879	54,876	2,203	246,062	9,546,890
შემოსვლა	1,660,147	-	-	-	12,157	285,478	2,950	20,220	254	36,200	2,017,405
გასვლა					(4,886)	(78,322)	-				(83,208)
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	1,660,147	4,612,040	176,701	89,031	12,157	4,432,369	138,829	75,096		282,262	11,481,088
დაგროვილი ცვეთა											
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი		(489,709)	(6,330)	(28,193)	-	(1,832,610)	(76,216)	(10,934)	(588)	(146,452)	(2,591,032)
ცვეთის ხარჯი		(230,602)	(8,835)	(4,452)	(2,034)	(764,892)	(27,483)	(6,187)	(365)	(72,371)	(1,117,221)
გასული ძირითადი საშუალებების დაგრო	-	-	-	-	-	3,916	-	-	-	-	3,916
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	-	(720,311)	(15,165)	(32,645)	(2,034)	(2,593,586)	(103,699)	(17,121)		(218,823)	(3,704,336)
წმინდა საბალანსო ღირებულება											
ბალანსი 2018 წლის 1 იანვარი	-	4,122,330	170,371	60,838	4,886	2,392,603	59,663	43,942		99,610	6,955,859
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბერი	1,660,147	3,891,728	161,536	56,386	10,123	1,838,783	35,130	57,975		63,439	7,776,752

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

8. სესხები

სესხები 2018 წლის 31 დეკემბერს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კონტრაგენტი	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	სესხის აღების თარიღი	დაფარვის თარიღი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
					31.12.2018	31.12.2018	01.01.2018	01.01.2018
სს ბაზისბანკი	13%	ლარი	25.12.2017	25.01.2018	-	-	250,000	
სს ბაზისბანკი	13%	ლარი	25.12.2018	22.02.2019	400,000			
სს ბაზისბანკი	10%	ლარი			100,000		100,000	
სს ბაზისბანკი	7%	ევრო	25.02.2015	25.02.2025		1,134,107		1,286,745
სს ბაზისბანკი	7%	დოლარი	30.10.2014	30.10.2024		3,700,719		4,053,544
სს ბაზისბანკი	7%	დოლარი	04.11.2014	04.11.2024		463,524		507,717
სს ბაზისბანკი	7%	დოლარი	25.02.2016	25.02.2023		1,048,913		1,218,952
სს ბაზისბანკი	7%	დოლარი	25.11.2016	25.11.2019		36,093		70,666
სს ბაზისბანკი	7%	დოლარი	12.01.2019	13.01.2025		2,034,587		
სულ					500,000	8,417,944	350,000	7,137,623

შპს ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებას აწარმოებს 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

9. სავაჭრო ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები შედგება:

	2018	2017
მიწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	2,691,628	2,186,835
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11,139	20,195
მიღებული ავანსები	18,019	16,608
სულ	2,720,785	2,223,637

31.12.2018 წ. მდგომარეობით, ჯგუფის კრედიტორებს წარმოადგენს რეზიდენტი და არარეზიდენტი კომპანიები.

10. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი.

2018 წლის ბოლოს ჯგუფის დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი შედგება ნოემბერი-დეკემბრის გასაცემი ხელფასისგან.

11. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018 წელს, ჯგუფის ამონაგები შედგება:

	2018
შემოსავალი ამბოლატორიული მომსახ.	1,447,520
შემოსავალი სტაციონარიდან	10,333,228
სხვა შემოსავალი	63,235
სულ	11,843,983

შპსისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებასაანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

12. . სხვა შემოსავალი

ჯგუფის 2018 წლის სხვა შემოსავალი შედგება საქონლის და ძირითადი საშუალებების რეალიზაციისაგან.

13. კომერციული ხარჯები.

ჯგუფის 2018 წლის კომერციული დანახარჯი შედგება:

	2018
რეკლამის ხარჯები	53,407
პერსონალის გადამზადების ხარჯი	27,020
მიწოდების სხვა ხარჯები	149,539
სულ	229,966

შპსისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებასაანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

14. ადმინისტრაციული ხარჯები.

ჯგუფის 2018 წლის ადმინისტრაციული ხარჯები შედგება:

	2018
შრომის ანაზღაურება	1,040,579
კომუნალური ხარჯი	277,413
ბანკის ხარჯი	40,000
ქონების დაზღვევა	38,443
მივლინების ხარჯი	7,629
საიჯარო ქირა	410,650
სამეურნეო ხარჯი	39,189
საკანცელარიო ხარჯი	44,658
დაცვის მომსახურების ხარჯი	7,528
კომუნიკაციის ხარჯები	6,429
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	15,674
საკონსულტაციო ხარჯები	82,831
ცვეთა და ამორტიზაცია	1,117,221
საექვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები	110,965
ძირითადი საშუალებების საექსპლოატაციო ხა	78,850
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯი	50,175
სულ	3,368,233

15. ფინანსური შემოსავალი.

ჯგუფის 2018 წლის ფინანსური შემოსავალი შედგება:

	2018
საპროცენტო შემოსავალი	41
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	27,960
სულ	28,001

16. ფინანსური დანახარჯები.

ჯგუფის 2018 წლის ფინანსური დანახარჯები შედგება:

	2018
საპროცენტო ხარჯები	608,358
დარიცხული ჯარიმები	15,839
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	444
სულ	624,640

შპს ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებას ანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

განხორციელებული ოპერაციები დირექტორთან და პარტნიორებთან:

	ტრანზაქციის დირეგულება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით	დაუფარავი ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდით
ხელფასი და სხვა სარგებელი	(601,341)	(29,573)
სულ	(601,341)	(29,573)

აღნიშნული ოპერაციები განხორციელებულია იგივე პირობებით, როგორი პირობებითაც სრულდება ანალოგიური ტრანზაქციები არადაკავშირებულ მხარესთან.

18. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 28 ნოემბერს.

შპს ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31
დეკემბერს
(ლარში)

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მართველობის
ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2018 წლის
31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე
წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“-ს (შემდგომში
„კომპანია“) მმართველობით ანგარიშგებასთან მიმართებაში კომპანიის ხელმძღვანელობისა და
დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც
მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს
კანონის საფუძველზე.

მმართველობის ანგარიშგება, მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,
ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2019 წლის 10 დეკემბერს.

დირექტორი:



რუსუდან ლაგვილავა

დამოუკიდებელ აუდიტორთა წერილი

ბაზოზი

გაცნობებთ, რომ ჩვენ წავიკითხეთ თანდართული დოკუმენტი და მივიჩნიეთ რომ: კომპანიამ მოაწვადა მმართველობის ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებული პროცედურების შედეგად, არ შეგვიძინებია რაიმე არსებითი შეუსაბამოები რაც მიგვანიშნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით. ზემოთ აღნიშნული 1-ლი და მე-2 პუნქტის წაკითხვა უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ აზრსა და აზრს, რომელიც მიგვანახებს ხელმძღვანელობისა და აუდიტორის პასუხისმგებლობებს, ერთად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე, საჯარო დაინტერესების პირები, ასევე პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ თავიანთ აუდიტორს და აუდიტორი შეამოწმებს ანგარიშგება მოიცავს თუ არა აღნიშნული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტითა და ამავე მუხლის მე 7-პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ ინფორმაციებს. ზემოთ აღნიშნული ნორმატიული ნორმების შესაბამისად ხელმძღვანელობა ამზადებს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

კომპანიის განვითარების გეგმებს;

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევების მიმოხილვას;

ინფორმაციას კომპანიის ფილიალების შესახებ;

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები;

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების

მიმოხილვას და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ;

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის

მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს

კანონთან შესაბამისობის სხვა საკითხებს (იმ შემთხვევაში თუ რელევანტურია

კომპანიისთვის).

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენ შევაფასეთ და გამოვხატეთ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებასთან დაკავშირებით. მიგვაჩნია, რომ საწარმოს მიერ მოწოდებული ანგარიშგება შესაბამისობაშია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებთან.

2019 წლის 06 დეკემბერს გამოვუშვიტ დასკვნა კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესახებ და ამ წერილის წაკითხვა უნდა მოხდეს აღნიშნულ დასკვნასთან ერთად.

კახა ჭკუასელი

გარიგების პარტნიორი

შპს „აი.ჯი.ეფ“



მმართველობითი ანგარიშგება

შპს „ისრაელ-საქართველო სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“

1. კომპანიის დაარსების ისტორია

შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“ წარმოადგენს ისრაელისა და საქართველოს ერთობლივ პროექტს. კლინიკა 2014 წლის დეკემბრიდან წარმატებულად ფუნქციონირებს ქართულ სამედიცინო მომსახურების ბაზარზე, აღჭურვილია უახლესი, მაღალტექნოლოგიური, ევროპული სტანდარტების შესაბამისი აპარტურით და დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პერსონალით.

ჰელსიკორის ბაზაზე წარმოებს როგორც რუტინული კარდიოვასკულარული, ისე ურთულესი ჰიბრიდული (ქირურგიული-ინტერვენციული) დახურული და ღია ტიპის ოპერაციები. გულ-სისხლძარღვოვანი პათოლოგიების მქონე პაციენტებს ჰელსიკორში შესაძლებლობა აქვთ მიიღონ სრულყოფილი და მაღალკვალიფიციური სერვისი, სრულფასოვანი ამბულატორიული გამოკვლევებიდან ურთულესი ქირურგიული ოპერაციების ჩათვლით.

ჰელსიკორს საკმაოდ მყარი პოზიციები უკავია გულ-სისხლძარღვოვანი დაავადებების მკურნალობის საქმეში, ამ მიმართულებით არის არაერთი სამედიცინო ნოვაციის ავტორი, დანერგილი აქვს ინტერვენციული და ქირურგიული ჩარევების უნიკალური მეთოდები.

სამედიცინო საქმიანობის დაწყებიდან ჰელსიკორში სტაციონარული მომსახურება გავუწიეთ 11709 პაციენტს, მათ შორის განხორციელდა კარდიოლოგიური ინტერვენციული 2954 მანიპულაცია (კორონარული არტერიების ანგიოგრაფია, ანგიოპლასტიკა), 1148 კარდიოქირურგიული ოპერაცია (კორონარული შუნტირება, ოპერაციები აორტაზე, სარქველების პლასტიკა/პროთეზირება/გამოცვლა, სხვა შეძენილი მანკები), 950 სისხლძარღვთა ქირურგიული ოპერაცია (სისხლძარღვების ღია და დახურული/ენდოვასკულარული, სტენტგრაფტი), 196 არითმოლოგიური პროცედურა (გულის რითმის ხელოვნური წამყვანების იმპლანტაცია, რადიოსიხშირული და კრიო აბლაციები). ამავე პერიოდში ლეტალური გამოსავალის ფარდობითმა მაჩვენებელმა 1,2% შეადგინა, რაც გულ-სისხლძარღვთა დაავადების მკურნალობის სფეროში მოქმედი ევროპული კლინიკების საშუალო სტატისტიკურ მაჩვენებელზე დაბალია.

პირველად საქართველოში სწორედ ჰელსიკორში ჩატარდა აორტალური სარქველის სტენტოზის აღდგენითი ოპერაცია Transcatheter Aortic Valve Implantation (TAVI), რაც გულისხმობს აორტალური

სარქვლის პროთეზირებას ენდოვასკულარული მეთოდით, უსისხლოდ და ანესთეზიის გარეშე. სტაციონარში დაყოვნება არ აღემატება 2-3 დღეს. იმის გამო, რომ აღნიშნული პროცედურა ნოვაცია იყო საქართველოსთვის, მისი ჩატარება დამოუკიდებლად, უცხოელი სპეციალისტების მონაწილეობის გარეშე არ იყო რეკომენდირებული. 2019 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით ჩატარებულია 12 TAVI-ს პროცედურა, რაც საშუალებას იძლევა მომავალში აღნიშნული პროცედურები ჩატარდეს კლინიკის რესურსებით. ხსენებული პროცედურა არის უკანასკნელი მიღწევა ინტერვენციულ კარდიოლოგიაში და ის ფაქტი, რომ მისი ჩატარება ჰელსიკორს დამოუკიდებლად შეუძლია, მიუთითებს იმაზე, რომ კლინიკის ინტერვენციონისტებს გააჩნიათ უმაღლესი ხარისხი.

ფართო მასშტაბის ურთულეს მანიპულაციებს შორის კლინიკაში სრულდება ისეთი უნიკალური ოპერაციები როგორიცაა:

- აორტო-კორონარული შუნტირება, როგორც მინითორაკოტომიული, ასევე მინი სტერნოტომიული მიდგომით;
- აორტალური სარქვლის პროთეზირება მინითორაკოტომიული მიდგომით.
- მიტრალური სარქვლის გამოცვლა/პლასტიკა ლატერალური მინითორაკოტომიული მიდგომით.
- აორტის სარქვლის პლასტიკა.

ჰელსიკორში ხორციელდება ანგიოქირურგიული ენდოვასკულარული ოპერაციები, მათ შორის ოპერაცია გამსკდარ ანევრიზმაზე დახურული წესით.

2017 წლიდან კლინიკაში ტარდება აბლაციის პროცედურები EnSite Precision აპარატურით, ყოველგვარი რენტგენოლოგიური დასხივების გარეშე. პროცედურები ტარდება გულის ელექტროფიზიოლოგიაში და აბლაციაში მიღებული ევროპული აკრედიტაციით.

კლინიკაში 2017 წლიდან ფუნქციონირებს ენდოკრინოლოგიური დეპარტამენტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ევროპის ენდოკრინულ ქირურგთა ასოციაციის თავჯდომარე, გერმანიის ქ. ესენის საუნივერსიტეტო კლინიკის პროფესორი, ენდოკრინული ქირურგიის მიმართულების ხელმძღვანელი პროფესორი ჰენინგ დრალე. ოპერაციები ტარდება მის მიერ შემუშავებული მეთოდით, მუდმივი ნეირომონიტორინგით, ხშირ შემთხვევაში თავად პროფესორის მიერ.

შპს ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31
დეკემბერს
(ლარში)

კომპანიის დამფუძნებლები არიან როგორც რეზიდენტი ასევე არარეზიდენტი ფიზიკური პირები.

ნოდარ ემუხვარი (პ/ნ 01024086119) – 13,2%;

რუსუდან ნაფეტვარიძე (პ/ნ 01017009772)-4,4%;

რონ კარმელი (პ/ნ 50500594, აშშ.)-27%.

თამარ ემუხვარი (პ/ნ 01024009018) – 39,2%;

ნინო ემუხვარი (პ/ნ 01024025076) – 11%;

ლევან ქარაზანიშვილი (პ/ნ 01005006788, იტალია, საქართველო)-5,2%

კომპანიის მიერ გაწეული მომსახურების ძირითადი შემსყიდველები არიან:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“, რომელიც ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებს;
2. კერძო სადაზღვევო კომპანიები;
3. საქართველოს პრაქტიკულად ყველა რეგიონის ადგილობრივი მუნიციპალიტეტი;
4. სხვადასხვა სამთავრობო უწყებები;
5. უცხოური და ადგილობრივი კომპანიები;
6. ფიზიკური პირები.

2. საქმიანობის განვითარების გეგმები

შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი“ განთავსებულია ქ. თბილისში, თევდორემღვდლის #13-ში არსებული შენობის პირველ, მე-8, მე-9, მე-10 დამე-11 სართულებზე (მათ შორის მე-8 სართულს ფლობს სარგებლობის უფლებით). საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა გულ-სისხლძარღვოვანი პათოლოგიებით დაავადებული პაციენტების მოვლა-მკურნალობა. სტაციონარიგაშლილია 80 საწოლზე, მოწყობილია 2 საოპერაციო ოთახი (მათ შორის ერთი ჰიბრიდული ტიპის), 2 კათეტერიზაციის ლაბორატორია, 3 სარეანიმაციო დარბაზი, კლინიკაში ფუნქციონირებს გეგმიური ამბულატორია. 2018 წლის იანვრის თვეში ჰელსიკორის მიერ შეძენილ იქნა შპს „გია ჭკუასელის კლინიკის“ 100% წილი, რომელიც განთავსებული აიმავე შენობის პირველ სართულსა და სარდაფში. მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საერთო ფართი დაახლოებით 1700 კვ. მეტრია. მოცემულ ეტაპზე, ხსენებულ ფართში წარმოებს სარემონტო სამუშაოები, რომელთა დასრულება დაფართის ექსპლუატაციაში გაშვება იგეგმება 2020 წლის დასაწყისისათვის. გათვალისწინებულია 4 ახალი საოპერაციო ოთახის მოწყობა, ზოგადი (მ.შ. დიდი წილი ნევროლოგიური) რეანიმაციული დარბაზის გაშლა 11 საწოლზე, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების (EMERGENCY) სამსახურის ფუნქციონირება - დაკვირვების დარბაზში 8 საწოლზე, ტრიაჟი - 1 საწოლზე, ასევე მცირე საოპერაციო/სამანიპულაციო ოთახი, პოსტოპერაციული რეანიმაციული დარბაზის განთავსება 5 საწოლზე, თერაპიული პროფილის ან/და პოსტქირურგიული პაციენტების კონსერვატიული მკურნალობისათვის (მშ VIP პალატები) - დაახლოებით 11 საწოლზე. რაც შეეხება ახალ სამედიცინო სერვისებს - იგეგმება გადაუდებელი და გეგმიური ზოგადქირურგია, ორთოპედია-ტრავმატოლოგია (გეგმიური და გადაუდებელი), ნეიროქირურგია, გათვალისწინებულია მაღალტექნოლოგიური მოწყობილობების (კომპიუტერული ტომოგრაფი, რენტგენი და ა.შ.) შეძენა, რაც როგორც სტაციონარული, ისე გეგმიური ამბულატორიული სერვისების დატვირთვის ზრდას შეუწყობს ხელს. შპს „ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორის“ პერსპექტიული განვითარების გეგმის ბაზისად აღებულია არსებული და დასამატებელი სამედიცინო სერვისების, საწოლ-ფონდის, საოპერაციო და საპროცედურო ოთახების, ექიმების ოთახების, სამედიცინო პერსონალის და ა.შ. მაქსიმალური (100%-ით) დატვირთვის შესაძლებლობა და მიღებული მაჩვენებლებიდან, კლინიკის წარსული საქმიანობის სტატისტიკური მონაცემების და ქვეყნის სამედიცინო ბაზარზე არსებული მდგომარეობის გაანალიზების საფუძველზე გაანგარიშებულია კლინიკის დატვირთვის ყველაზე პესიმისტური პროგნოზი - რომელიც დაგეგმარების პირველ წელს მაქსიმალური შესაძლებლობის საშუალოდ 43%-ს შეადგენს და ეტაპობრივი გააქტიურების საფუძველზე - პროგნოზის მეხუთე წელს საშუალოდ 59%-მდე იზრდება. დატვირთვის მაქსიმალური ნიშნული ქირურგიული პროფილის სერვისებისათვის 65%-ია.

3. ძირითადი რისკები და გაურკვევლობა

მაკროეკონომიკური პირობები

კომპანიის საქმიანობის შედეგებზე ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკური ფაქტორები.

ვალუტის მერყეობა

კომპანიაზე მოქმედებს ვალუტის მერყეობა ბიზნეს-გარემოსა და საქმიანობის დარგის სპეციფიკის გამო, რადგანაც სასაქონლო-მატერიალური მარაგების აგრეთვე სამედიცინო აპარატურის შესყიდვა მომწოდებლებს უწევთ დოლარში ან ევროში შესაბამისად როდესაც ხდება ლარის გაუფასურება დოლარისა და ევროს მიმართ იმატებს ფასები, კლინიკა კი მომსახურებას უწევს პაციენტებს დადგენილი ფასებით

ამასთან, კომპანიას ადგილობრივი საფინანსო ინსტიტუტების მიმართ აქვს საკრედიტო ვალდებულებები, რომლებიც თითქმის სრულად მიზღვრულია უცხოურ ვალუტებზე. ლარის გაუფასურება ამ ვალუტების მიმართ ზრდის კომპანიის საპროცენტო ხარჯებს და სხვა დანახარჯებს.

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი გახდა, მას თავისი სავაჭრო კანონმდებლობა თანდათან შესაბამისობაში მოჰყავს ევროკავშირის ნორმებთან და პრაქტიკასთან. ბოლოდროინდელ ნორმატიულ ცვლილებებს შორისაა 2013 წლის ცვლილებები შრომის კოდექსში, რითაც საქართველოს შრომითი რეგულაციები მიუახლოვდა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით და DCFTA-ით აღებულ ვალდებულებებს. ამ ცვლილებების მიხედვით, დამსაქმებლებს ევალებათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება, სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაციის გაზრდა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე). აღნიშნული ხელშეკრულების შესაბამისად აგრეთვე გამკაცრდა შრომის უსაფრთხოების რეგულაციები და 2019 წლის 1 სექტემბრიდან ყველა საწარმოს მიუხედავად საქმიანობის სფეროსი ევალება უსაფრთხოების თანამშრომლის ყოლა, რაც დამატებით ხარჯებსა და სირთულეებს იწვევს ბიზნესისთვის.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საგადასახადო კოდექსში მოგების გადასახადთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც საწარმოს არ დაევალება მოგების გადასახადის გადახდა, სანამ იგი არ გაანაწილებს მოგებას მფლობელებზე ან გასწევს ასეთ დანახარჯებს ან განახორციელებს ისეთ მიწოდებას ან გადახდას, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. აღნიშნული სიახლე უარყოფით გავლენას ახდენს ჩვენი საქმიანობაზე რადგან როდესაც პაციენტი ვერ იხდის სამედიცინო მომსახურების თანაგადახდას ეს შეიზღუბა განხილულ იქნეს როგორც უსასყიდლო მიწოდება და მოგების გადასახადით დაიბეგროს

4. განცხადება ეკოლოგიურ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შესახებ

უსაფრთხოების მხარდაჭერა

ჩვენი კომპანიისთვის მნიშვნელოვანია, იმ ადამიანების უსაფრთხოება, რომლებიც ჩვენთან არიან დასაქმებულები ან რომლებთანაც ვთანამშრომლობთ.

ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ პოპულარიზაცია გავუწიოთ ჯანსაღი ცხოვრების წესს.

5. საკადრო საკითხები

ჩვენი წარმატების მთავარი ფაქტორი არის ერთიანი და პროფესიონალებით დაკომპლექტებული გუნდი, რომელსაც შეუძლია კომპანიის მიზნების მიღწევა. ჩვენი სერიოზულად ვეკიდებით საუკეთესო პროფესიონალების მოძიებას და მოზიდვას, მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას, მათ პროფესიულ განვითარებაში ინვესტიციის ჩადებას და მათი ერთგულების წახალისებას. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება და მართვის სისტემა, რომელსაც ის განახორციელებს, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ჩვენი ყველაზე ძვირფასი რესურსის - ჩვენი თანამშრომლების მართვაში. ადამიანური კაპიტალის მართვის განყოფილება შეიმუშავებს ადამიანური რესურსების პოლიტიკასა და პროცედურებს, რომლებითაც განისაზღვრება ძირითადი პრინციპები, მიმართულებები, მიდგომები დამეთოდები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ყველა საქმიანობისთვის ადამიანური კაპიტალის მართვის სისტემების შექმნისთვის. ჩვენი ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და პროცედურების მაგალითებია:

- დასაქმების დაგეგმვა და ახალი თანამშრომლების მოზიდვა
- კადრების ადმინისტრირება

- ხელფასები და კომპენსაციები
- ქცევის კოდექსი
- თანამშრომელთა განვითარება და გადამზადება
- ადამიანური უფლებები

ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს ადამიანური უფლებების დაცვის მნიშვნელობა და ჩვენი ბიზნეს-საქმიანობა ყოველთვის ატარებს სოციალურ პასუხისმგებლობას. ჩვენ ვზრუნავთ თანამშრომელთა ჩართულობასა და მოტივაციაზე, აგრეთვე მათ მუდმივ პროფესიულ ზრდაზე. ჩვენი ექიმები ხშირად მონაწილეობენ სხვადასხვა კონფერენციებში სადაც ხდება სამედიცინო სფეროში არსებული სიახლეების გაცნობა და გაზიარება.

სამუშაო ადგილის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჯანსაღი სამუშაო პირობების შექმნა კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია. კომპანია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს პრევენციულ ზომებს, როგორცაა თანამშრომლების რეგულარული ტრენინგების და სამედიცინო შემოწმების ჩატარება, სამუშაო ადგილების სერტიფიცირება და ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისება.

დირექტორი:



რუსუდან ლაგვილავა

თიძეხელოვანი საკითხების, მათ შორის, მისი კონტროლის სისტემაში გამოვლენილი
მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

06 დეკემბერი 2019

შპს „აი.ჯი.ეფ“

კახა ჭკუასელი

გარიგების პარტნიორი



შპსის რაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებასაანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარი)

**კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდის მდგომარეობით**

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2018	01.01.2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	4	130,162	154,817
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	2,172,538	2,728,128
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	813,959	816,363
სულ მიმდინარე აქტივები		3,116,658	3,699,308
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	7,776,752	6,955,859
არამატერიალური აქტივები		14,351	14,351
სულ გრძელვადიანი აქტივები		7,807,752	6,986,860
სულ აქტივები		10,924,410	10,686,168
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხი	8	500,000	350,000
სავაჭრო ვალდებულებები	9	272,078	2,223,637
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		134,572	107,706
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი	10	399,892	382,053
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		377,128	3,078,881
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ბანკის სესხი	8	8,417,944	7,137,623
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8,417,944	7,137,623
სულ ვალდებულებები		12,189,228	10,216,504
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		1,884,966	1,934,466
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(3,149,784)	(1,464,802)
სულ საკუთარი კაპიტალი		(1,264,818)	469,664
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		10,924,410	10,686,168

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი: _____ რუსუდან ლაგვილავა
ფინანსური დირექტორი: _____ გელა კვარაცხელია

თანდართული შენიშვნები მე-27 დან 41-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებას ანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

**კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის**

(1 ლარი)

	შენიშვნა	2018
ამონაგები	11	11,843,983
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(8,873,198)
საერთო მოგება		2,970,786
სხვა შემოსავალი	12	70,366
კომერციული დანახარჯები	13	(229,966)
ადმინისტრაციული ხარჯები	14	(3,368,233)
დადებითი საკურსო სხვაობა		47,365
ფინანსური შემოსავალი	15	24,485
უარყოფითი საკურსო სხვაობა		(299,229)
ფინანსური დანახარჯები	16	(624,640)
მოგება დაბეგვრამდე		(1,409,066)
მიმდინარე წლის მოგება		(1,409,066)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი: _____ რუსუდან ლავგილავა
ფინანსური დირექტორი: _____ გელა კვარაცხელია

თანდართული შენიშვნები მე-27 დან 41-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპსისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა ჰელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებასაანგარიშგებოწლისთვის, რომელიც დასრულდა 2018
წლის 31 დეკემბერს
(ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი
	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	12147232
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-4758019
გაცემული შრომის ანაზღაურება	-4672344
გადახდილი გადასახადები	-1282071
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები (საბანკო ხარჯები)	-39634
გადახდილი პროცენტები	-604863
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	790301
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-1706750
კაპიტალის შემცირება და/ან დივიდენდის გაცემა	-275097
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-1981847
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
სესხების აღება	5647168
სესხის დაფარვა	-4469872
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	1177296
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-10405
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	-24655
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	154817
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	130162

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი: _____ რუსუდან ლაგვილავა

ფინანსური დირექტორი: _____ გელა კვარაცხელია

თანდართული შენიშვნები მე-27 და 41-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური
ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ისრაელ-საქართველოს სამედიცინო კვლევითი კლინიკა პელსიკორი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებას აწარმოებს 2018 წლის 31 დეკემბრის
(ლარში)

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის

(ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვები	სულ
ნაშთი 1 იანვარი 2018	1,934,466	(1,464,802)	-	469,664
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(328,931)			(328,931)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	(1,409,068)	-	(1,409,068)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	1,605,535	(2,873,870)	-	(1,268,335)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

დირექტორი:

რუსუდან ლაგვილავა

ფინანსური დირექტორი:

გელა კვარაცხელია

თანდართული შენიშვნები მე-27 დან 41-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.